ინფორმაცია ქ. თერჯოლაში შპს „მეტიმპექსის“ ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გადაწყვეტილების გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

N	შენიშვნების ავტორი	შენიშვნა	პასუხი
1	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მთლიანად პროცესი აცდენილია კანონის მოთხოვნებს. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ცდილობს გააგრძელოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2022 წლის 21 მარტს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. რა თქმა უნდა, კანონი არ ითვალისწინებს მსგავს შესაძლებლობას.	2022 წლის 17 მარტის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „2022 წლის 1 მაისამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გზშ-ის სფეროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში შესაბამის გადაწყვეტილებას გასცემს აღნიშნული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო.“ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო უფლებამოსილია გააგრძელოს სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	განცხადების თანახმად, პროექტზე გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, 2022 წლის 8 ივნისს N 21/2373 წერილის საფუძველზე გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება. (იხ. ლინკი: https://nea.gov.ge/Ge/GZSH/376). სინამდვილეში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და კომპანიას გაუგზავნა წარდგენილ დოკუმენტზე შენიშვნები და ასეც მიუთითა თავის წერილში: „გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის / შენიშვნის შესახებ ინფორმაციის / დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა.	გზშ-ის ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი უზუსტობებისა და დასაზუსტებელი საკითხების, მათ შორის ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ სააგენტოში წერილობით წარმოდგენილი, სოფ. მეორე სვირის მოსახლეობის კოლექტიური განცხადების გათვალისწინებით, სააგენტოს 2022 წლის 8 ივნისს N 21/2373 წერილის საფუძველზე შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება და კომპანიას დაევალა ორი თვის ვადაში დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილის

		ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი წარმოების შეჩერებას მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის წარდგენის მიზნით ითვალისწინებს და არა უწყების მიერვე განსახილველი დოკუმენტის შესწორების და/ან დახვეწისათვის რჩევების მიცემას.	თანახმად, გზშ-ის ერთი-ერთი ძირითადი ეტაპია „სააგენტოს მიერ გზშ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაციის, საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის, საზოგადოების მონაწილეობისა და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის შეფასება.“ გარდა ამისა, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები.“ შესაბამისად, კომპანიას დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენისთვის განესაზღვრა ორი თვის ვადა. გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება“.

			სააგენტოს 2022 წლის 8 ივნისს N 21/2373 წერილით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების საფუძველი გახდა როგორც დოკუმენტაციაში არსებული უზუსტობები, რომლებიც გამოიკვეთა წარმოების ეტაპზე, ასევე საჯარო განხილვის სხდომაზე დაინტერესებული საზოგადოების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და შენიშვნები და ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში წარმოდგენილი შენიშვნები. შესაბამისად აღნიშნული პროცედურების ფარგლებში გამოკვეთილი ხარვეზების საფუძველზე მოხდა საკითხების დაზუსტება კომპანიის მიერ.
3	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	2022 წლის 19 ივლისის განცხადების თანახმად, 2022 წლის 13 ივლისს, შპს „მეტიმპექსის“ მიერ N3179 წერილის შესაბამისად წარმოდგენილ იქნა დამატებითი (დაზუსტებული) ინფორმაცია. ამავე განცხადების თანახმად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა 2022 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით, შესაძლებელია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge. გაუგებარია რა სამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს „დამატებითი (დაზუსტებული) ინფორმაციის“ ცალკე განხილვას და შენიშვნების მიღებას. ასევე, გაუგებარია, რა ნორმაზე დაყრდნობით მოხდა, თუნდაც ამ ინფორმაციაზე შენიშვნების მიღებისათვის ვადის დადგენა. მაგრამ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თავად წარმოდგენილი „ინფორმაცია“, რომელიც კიდევ უფრო უხარისხო და დამაბნეველია, ვიდრე გარემოს დაცვისა	როგორც აღინიშნა, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.“ შესაბამისად, დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შინაარსისა და მოცულობიდან გამომდინარე საზოგადოებას მოსაზრებებისა და შენიშვნების წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 10 სამუშაო დღე.

		და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხილული დოკუმენტაცია. ამასთან საგულისხმოა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტშიც, კომპანიის აზრით, შენიშვნებზე „რეაგირებაა“ წარმოდგენილი.	
4	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოების პროცესში „მწვანე ალტერნატივამ“ წარადგინა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. მეორე სვირის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება. გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის 5 ივლისის წერილის თანახმად, მოსახლეობის განცხადების საფუძველზე გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა საწარმოს ტერიტორიის დათვალიერება. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე დაწყებული ჰქონდა ფეროშენადნობი საწარმოს მოწყობა (მოწყობილი იყო: ღუმელის მე-3 ნიშნული, ყბებიანი სამსხვრევი დანადგარი და აირგამწმენდი, ასევე საოფისე შენობას დაშენებული ჰქონდა მეორე სართული.). აღნიშნულის საფუძველზე შპს „მეტიმპექსის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმი, რომელიც გადაეგზავნა თერჯოლის მაგისტრ სასამართლოს. ანუ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში კომპანიამ არასწორი ინფორმაცია წარადგინა და ამის შესახებ ცნობილი იყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის.	შპს „მეტიმპექსის“ მიერ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია ძირითადი საწარმოო შენობა, რომელიც მოწყობილია წერტილოვან მონოლითურ საყრდენებზე, აირმტვერგამწმედი ნაგებობა, საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ შპს „მეტიმპექსმა“ საწარმოს ტერიტორია შეიძინა მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მეტიმპექსის“ საწარმოს ტერიტორიაზე, პრაქტიკულად დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები, დარჩენილია მხოლოდ ეზოს მოსახვის, არტეზიული ჭის მოწყობის და ზოგიერთი ტექნოლოგიური დანადგარის მონტაჟის სამუშაოები.

		ყურადსაღებია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაწყებული წარმოების გარემოს ეროვნული სააგენტოში გაგრძელებისას ეს გარემოება ყურადღების მიღმა დარჩა - წარმოდგენილ განცხადებაში, აღნიშნული პროცესი საერთოდ არ არის აღწერილი. ასევე, უცნობია რა მოხდა ამ ყველაფრის შემდეგ. აღნიშნული საკითხი არც შპს „მეტიმპექსის“ მიერ წარმოდგენილ დანართში არ არის განხილული. უფრო მეტიც, კომპანია თვლის, რომ მათ არანაირი დარღვევა არ ჰქონიათ. ფაქტიურად, შპს „მეტიმპექსმა“ 2022 წლის 10 მაისის საჯარო განხილვისათვის წარმოადგინა დოკუმენტი, რომლიც არ ასახავდა ადგილზე რეალურ სურათს. ხოლო, ადმ. წარმოების კანონის დარღვევით გაგრძელების შემდეგ, ნაცვლად შეცვლილი გზშ ანგარიშისა, გარემოს ეროვნულ სააგენტოს შენიშვნებზე პასუხები წარმოადგინა.	
5	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	სააგენტოს ერთ-ერთი შენიშვნა სამინისტროში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ 2022 წლის 3 თებერვალს წარდგენილ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. მეორე სვირის მოსახლეობის კოლექტიურ განცხადებას ეხებოდა. გარემოს ეროვნული სააგენტოს შენიშვნებში ვკითხულობთ, რომ მოსახლეობის განცხადებაში „წარმოდგენილი წერილობითი შენიშვნები ასევე ეხება კომპანიის მიერ უნებართვოდ განხორციელებულ საწარმოს მოწყობის სამუშაოებს და აღნიშნულ ეტაპზე პროექტის შესახებ მოსახლეობის არაინფორმირებულობას“, რაზეც კომპანია პასუხობს, რომ „აღნიშნული ჩანაწერი არ არის სწორი, რადგან შპს „მეტიმპექსმა“ აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეიძინა მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, შესაბამისად	სოფ. მეორე სვირის მცხოვრებთა მიერ წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე, რომელიც ესაზღვრება სოფელ მეორე სვირს, <u>მიმდინარეობს</u> ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობა, რომელსაც ახორციელებს შპს „მეტიმპექსი“. საწარმოს მოწყობა მიმდინარეობს მჭიდროდ დასახლებული უბნის სიახლოვეს, სადაც მოსახლეობა ძირითადად დაკავებულია საოჯახო მეურნეობის გაძღოლით“. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ „საწარმოს მოწყობა მიმდინარეობდა მოსახლეობის ჩართულობის გარეშე“. შესაბამისად, აღნიშნული აისახა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შპს

		ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც შენიშვნის ავტორები კომპანიას ადანაშაულებს უნებართვო საქმიანობაში მიუღებელია.“ ეს შენიშვნაც და მასზე გაცემული პასუხიც არარელევანტურია, რადგან უკანონო მშენებლობის ფაქტი გამოვლენილ იქნა გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის და არა მოსახლეობის მიერ. აღნიშნული საკითხი სოფ. მეორე სვირის მოსახლეობის განცხადებაში საერთოდ არ არის განხილული.	„მეტიმპექსისთვის“ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით გაგზავნილ წერილში.
6	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	გარემოს ეროვნული სააგენტო შპს „მეტიმპექსისაგან“ აგრეთვე ითხოვდა საქმიანობასთან დაკავშირებით საწარმოს გავლენის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის (მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას, რაც კომპანიის მიერ ასევე არ შესრულებულა.	2022 წლის 10 მაისს გამართულ საჯარო განხილვის ოქმი, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. მეორე სვირის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება და შპს „მეტიმპექსის“ 2022 წლის 13 ივლისის N3179 წერილი 2022 წლის 21 ივლისს სააგენტომ გადაგზავნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში და ითხოვა შპს „მეტიმპექსის“ ფეროშენადნობების წარმოებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტისა და სოფ. მეორე სვირის მოსახლეობის შეჯერებული პოზიციის წარმოდგენა 2022 წლის 2 აგვისტომდე, რაზეც მუნიციპალიტეტის მიერ პასუხი წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, 2022 წლის 16 აგვისტოს აღნიშნული ინფორმაცია განმეორებით იქნა გადაგზავნილი ზესტაფონის მუნიციპალიტის მერიაში. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2023 წლის 2 თებერვალს, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილი საპასუხო წერილის (22-2223033136) თანახმად,

			ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე სვირში, იუსტიციის სახლის შენობაში დაგეგმილ შეხვედრაზე, სადაც უნდა მომხდარიყო საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) ანგარიშის საჯარო განხილვა, სოფელ მეორე სვირის მაცხოვრებლები, რომლებიც წინასწარ იყვნენ ინფორმირებული დაგეგმილი შეხვედრის შესახებ სოფელ მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ, არ გამოცხადდნენ. წერილის თანახმად, შპს „მეტიმპექსის“ წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაფრქვევის წყარო აღჭურვილი იქნება ონლაინ მონიტორინგის სისტემით, რომლის შედეგები მუდმივ რეჟიმში იქნება მიწოდებული შესაბამის მაკონტროლებელ ორგანოსთან და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას დამატებითი შენიშვნები და მოსაზრებები არ გააჩნია